ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება *ND v. DR, C-21/23, ECLI:EU:C:2024:846*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„75 [...] **პერსონალური მონაცემები, რომლებიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ძირითად უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით განსაკუთრებით სენსიტიურია, საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, ვინაიდან მათი დამუშავების კონტექსტმა შეიძლება მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნას ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.**

76 აღნიშნული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, რომლებიც ჩამოთვლილია დირექტივის 95/46 მე-8(1) მუხლსა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლში, მოიცავს **ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.** ეს მონაცემები მოიცავს [...] ყველა პერსონალურ მონაცემს, რომელიც ავლენს **ფიზიკური პირის წარსულ, ახლანდელ ან მომავალ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას**, მათ შორის, მონაცემებს, რომლებიც უკავშირდება ამ პირისთვის ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებას.“

[...]

„81 [...] დირექტივისა 95/46 და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მიზნის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ფიზიკური პირების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, განსაკუთრებით, მათი პირადი ცხოვრების, მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფას პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, დირექტივის მე-8(1) მუხლითა და რეგულაციის მე-9(1) მუხლით განსაზღვრული **„ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების“ ცნება უნდა განიმარტოს ფართოდ** (ამ მიზნით, იხ. 2003 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება Lindqvist, C-101/01, EU:C:2003:596, 50-ე პუნქტი და 2022 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება Vyriausioji tarnybinės etikos komisija, C-184/20, EU:C:2022:601, 125-ე პუნქტი).

82 კერძოდ, **აღნიშნული დებულებები არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლებიც არაპირდაპირ იწვევს ფიზიკურ პირთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაციის გამჟღავნებას, გამოირიცხოს ამ დებულებებით გათვალისწინებული გაძლიერებული დაცვის რეჟიმიდან, ვინაიდან ამ რეჟიმის ეფექტურობა და ფიზიკური პირის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლის უზრუნველყოფასაც ის გულისხმობს, არ უნდა აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე** (2022 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება Vyriausioji tarnybinės etikos komisija, C-184/20, EU:C:2022:601, 127-ე პუნქტი).

83 ამგვარად, იმისათვის, რათა **პერსონალური მონაცემები კლასიფიცირდეს, როგორც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები [...], საკმარისია, რომ ეს მონაცემები ავლენდეს მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ისეთი ინტელექტუალური ოპერაციების საშუალებით, როგორებიცაა შეჯერება და დედუქცია** (ამ მიზნით, იხ. 2022 წლის 1 აგვისტოს გადაწყვეტილება, Vyriausioji tarnybinės etikos komisija, C-184/20, EU:C:2022:601, 123-ე პუნქტი).

84 მონაცემებით, რომლებიც მომხმარებელს შეჰყავს ონლაინ პლატფორმაზე სააფთიაქო სამკურნალო პრეპარატების შეკვეთისას, შესაძლებელია, ისეთი ინტელექტუალური ოპერაციების საშუალებით, როგორებიცაა შეჯერება და დედუქცია, გამოვლინდეს მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის

მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4(1) მუხლის მნიშვნელობით, რამდენადაც **შეკვეთა შესაძლებლობას იძლევა დამყარდეს კავშირი სამკურნალო პრეპარატს, მის სამკურნალო მაჩვენებლებს ან გამოყენებასა და ისეთი ფაქტორების საშუალებით იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს შორის, როგორებიცაა ამ პირის სახელი ან მიწოდების მისამართი.“**

[...]

„86 [...] უნდა აღინიშნოს, რომ დირექტივის 95/46 მე-8(1) მუხლისა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლის გამოყენების მიზნებისთვის, **მნიშვნელოვანია დადგინდეს**, როდესაც პერსონალური მონაცემები მუშავდება აფთიაქის ოპერატორის მიერ ონლაინ პლატფორმაზე განხორციელებული აქტივობის კონტექსტში, **იძლევა თუ არა ეს მონაცემები ზემოთ აღნიშნულ პუნქტებში მითითებული ერთ-ერთი კატეგორიის ინფორმაციის გამოვლენის შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, ინფორმაცია ამ პლატფორმის მომხმარებელს ეხება თუ სხვა ფიზიკურ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ეს ასეა, მაშინ პერსონალური მონაცემების ასეთი დამუშავება აკრძალულია** და ექვემდებარება აღნიშნული დებულებების მე-2 პუნქტში მოცემულ გამონაკლისებს (ამ მიზნით, იხ. 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება Meta Platforms and Others (სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 68-ე პუნქტი).“

[...]

„88 აქედან გამომდინარე, როდესაც ონლაინ პლატფორმის მომხმარებელი ისეთი სააფთიაქო სამკურნალო პრეპარატების შეკვეთისას, რომლებსაც არ სჭირდება რეცეპტი, უთითებს პერსონალურ მონაცემებს, ამ მონაცემების დამუშავება აფთიაქის ოპერატორის მიერ, რომელიც ყიდის ამ სამკურნალო პრეპარატებს აღნიშნულ ონლაინ პლატფორმაზე, უნდა ჩაითვალოს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებად დირექტივის 94/46 მე-8(1) მუხლისა და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლის მნიშვნელობით, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მონაცემების დამუშავებით შესაძლებელია გამჟღავნდეს ინფორმაცია ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია ეხება ამ მომხმარებელს თუ სხვა რომელიმე პირს, რომლისთვისაც მომხმარებელმა განახორციელა შეკვეთა (ამ მიზნით, იხ. 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, Meta Platforms and Others (სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 73-ე პუნქტი).“

[...]

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, სასამართლო (დიდი პალატა) ადგენს:

„2. „ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ინდივიდების დაცვისა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ“ დირექტივის 95/46/EC მე-8(1) მუხლი და რეგულაციის 2016/679 მე-9(1) მუხლი,

უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ისეთ შემთხვევაში, როდესაც აფთიაქის ოპერატორი ონლაინ პლატფორმაზე ყიდის სააფთიაქო სამკურნალო პრეპარატებს, ის ინფორმაცია, რომელსაც ამ ოპერატორის მომხმარებლები უთითებენ სამკურნალო პრეპარატების ონლაინ შეკვეთისას, როგორებიცაა მათი სახელი, მიწოდების მისამართი და სამკურნალო პრეპარატების ინდივიდუალიზაციისთვის საჭირო დეტალები, წარმოადგენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს აღნიშნული დებულებების მნიშვნელობის ფარგლებში, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული სამკურნალო პრეპარატების გაყიდვა არ საჭიროებს რეცეპტს.“

მოკლე მიმოხილვა:

რეგულაციის 2016/679 მე-9 მუხლი და დირექტივის 95/46/EC მე-8 მუხლი ეხება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებას. აღნიშნული მუხლების 1-ელი პუნქტების მიხედვით, აკრძალულია, მათ შორის, „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების“ დამუშავება.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, უნდა განიმარტოს თუ არა რეგულაციის 2016/679 მე-9(1) მუხლი და დირექტივის 95/46/EC მე-8(1) მუხლი იმგვარად, რომ ისეთ

შემთხვევაში, როდესაც აფთიაქის ოპერატორი ონლაინ პლატფორმაზე ყიდის სააფთიაქო პროდუქტებს, ინფორმაცია, რომელსაც ამ ოპერატორის მომხმარებლები უთითებენ სამედიცინო პროდუქტების ონლაინ შეკვეთისას, როგორიცაა მათი სახელი, მიწოდების მისამართი და სამედიცინო პროდუქტების ინდივიდუალიზაციისთვის საჭირო დეტალები, წარმოადგენდეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს აღნიშნული დებულებების მნიშვნელობის ფარგლებში, მაშინაც კი როდესაც სამედიცინო პროდუქტების გაყიდვა არ მოითხოვს რეცეპტის წარდგენას.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 1995 წლის 24 ოქტომბრის დირექტივა 95/46/EC „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ინდივიდების დაცვისა და ასეთი ტიპის მონაცემთა თავისუფალი გადაადგილების შესახებ“
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის 2016/679 მე-9 (1) მუხლი და დირექტივის 95/46/EC მე-8(1) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის (ზ) და (გ) პუნქტი და მე-6 მუხლი *(სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)*
საკვანძო ტერმინი	**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემები**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2024 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, ND v DR, C 21/23 ECLI:EU:C:2024:846*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.